საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6614
03/11/2022

6614-21-2-202211031429

შპს „ჯიმასტაროს“
ელ. ფოსტა: jimastaro17@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5149 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სოფ. ჯიმასტაროში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „სანიაღვრე წყლების არინება მოხდება სანიაღვრე არხში, რომელიც მდებარეობს საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით და ჩედინება მდ. რიონში“. განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული არხის მესაკუთრის და მასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, ასევე განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნავთობდამჭერის ეფექტურობა;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწვავის შესანახად გათვალისწინებული რეზერვუარების შესახებ ინფორმაცია (ამგები მასალა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო